საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2022 წლის 10 ნოემბერი**

დისციპლინური საქმე №173/19
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- -- 2019 წლის 11 ოქტომბრის №173 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2022 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებით, კანონიერებაზე ზედამხედველობის დაუშვებლობის საფუძვლით, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოება შეწყდა ნაწილობრივ.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ ექვსი თვის განმავლობაში არ ჩანიშნა სხდომა. ამასთან, საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წლის 24 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე -- -- გამოვიდა საკმაოდ ვრცელი სიტყვით, სადაც შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეებს -- -- და -- --, რასთან დაკავშირებითაც მოსამართლე -- -- არ მიიღო შესაბამისი ზომები და არ დაიცვა სასამართლოს ღირსება. იგი ეჭვს გამოთქვავს, რომ მოპასუხეები სარგებლობენ გარკვეული პრივილეგიებით სასამართლოში. მოპასუხე -- -- პირველივე სხდომაზე მოსამართლე -- -- მიმართა, რომ მისი იმედი ჰქონდა, რაზეც მოსამართლეს პასუხი არ გაუცია, თუმცა შეეძლო ეთქვა რომ მათ არა კონკრეტული მოსამართლის, არამედ მართლმსაჯულების იმედი უნდა ჰქონოდა.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2018 წლის 30 მარტს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხეების - -- --, -- --, -- --, ნოტარიუს -- -- მიმართ, მამობის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობისა, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის

შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობისა, ზიანის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე.

2018 წლის 2 აპრილის განჩინებით -- -- მოთხოვნა დაკმაყოფილდა და ყადაღა დაედო -- -- სახელზე რიცხულ უძრავ ქონებებს, ასევე -- -- სახელზე რიცხულ უძრავ ქონებას. 2018 წლის 17 აპრილს -- -- და -- -- საჩივარი წარადგინეს სასამართლოში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

2018 წლის 19 აპრილის განჩინებით საჩივრის ავტორებს განესაზღვრათ საპროცესო ვადა განჩინებაში მითითებული ხარვეზის შესავსებად.

2018 წლის 19 აპრილს და 20 აპრილს მოპასუხეებმა სასამართლოში წარადგინეს შესაგებლები.

2018 წლის 30 აპრილის განჩინებით საჩივარი -- -- სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განჩინებაზე წარმოებაში იქნა მიღებული. 2018 წლის 3 მაისის განჩინებით -- -- და -- -- საჩივარი, -- -- სასამართლო სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განჩინებაზე, არ დაკმაყოფილდა და ელექტრონული საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს.

2018 წლის 25 ივნისს გაიმართა სასამართლო სხდომა. 2018 წლის 25 ივნისის განჩინებით დაკმაყოფილდა მოსარჩელის წარმომადგენლის, -- -- შუამდგომლობა და საქმე №-- მოსარჩელე -- -- სარჩელის გამო, მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და ნოტარიუს -- -- მიმართ, მამობის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით და საქმე №-- -- -- და -- -- სარჩელის გამო, მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და ნოტარიუს -- -- მიმართ, მამობის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით, გაერთიანდა ერთ წარმოებად და მიენიჭა ერთი საქმის ნომერი - საქმე №--.

2018 წლის 19 დეკემბერს -- -- შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს მტკიცებულებების წარდგენის, ექსჰუმაციის და ბიოლოგიური ანალიზის დანიშვნის თაობაზე.

2018 წლის 24 დეკემბერს გაიმართა სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა. 2018 წლის 24 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმეზე N--, მოსარჩელეების -- -- და -- -- სარჩელის გამო, მოპასუხეების -- --, -- --, -- -- და ნოტარიუს -- -- მიმართ, მამობის დადგენის, სამკვიდრო მოწმობის ბათილად ცნობის, ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, უღირს მემკვიდრედ ცნობის, მემკვიდრედ და მესაკუთრედ ცნობის, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განხორციელებული უძრავი ნივთის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების და ამონაწერების ბათილად ცნობის და ზიანის ანაზღაურების შესახებ, დადგინდა სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობით განხილვა.

2019 წლის 9 იანვრის განჩინებით გასწორდა უსწორობა -- -- სასამართლოს 2018 წლის 25 ივნისის და 24 დეკემბრის სხდომის ოქმებში და მოსარჩელეთა ჩამონათვალში, ნაცვლად “-- --, -- --“, მიეთითა “-- --, -- --, -- --“.

2019 წლის 26 თებერვალს მოპასუხეებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს საქმეში მესამე პირის სტატუსით -- -- ჩართვის თაობაზე. სასამართლო სხდომები გაიმართა 27.02.2019; 14.03.2019; 12.04.2019; 24.05.2019; 18.06.2019; 24.09.2019; 08.10.2019 წწ პერიოდებში.

2019 წლის 14 მარტის განჩინებით მოპასუხე მხარის წარმომადგენლის -- -- შუამდგომლობა, მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე, დაკმაყოფილდა; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა დეტალური ინფორმაცია -- -- ქორწინების, განქორწინების ან/და ქორწინების შეწყვეტის საფუძველზე გაცემული სააქტო ჩანაწერის და მისი საფუძვლების შესახებ, მათ შორის, სრული ინფორმაცია -- -- და -- -- განქორწინების შესახებ.

2019 წლის 18 მარტს შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს -- -- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან სასამართლო სხდომების აუდიოჩანაწერის გამოთხოვის თაობაზე.

2019 წლის 12 აპრილის განჩინებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სამინისტროდან გამოთხოვილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: რით იყო განპირობებული, რომ სასამართლოს განჩინებებით გამოთხოვილი მტკიცებულებების საპასუხოდ, 2018 წლის 28 მარტს (№--) და 2019 წლის 2 აპრილს (№--) გაგზავნილი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო სახის ინფორმაცია; არსებობდა თუ არა -- -- და -- -- შორის ქორწინების სააქტო ჩანაწერი (რამდენიმე ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, მიწოდებოდათ აღნიშნულთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია). წარმოდგენილ იქნა ყველა სააქტო ჩანაწერის ორივე ეგზემპლარის, მათ შორის არქივში არსებულის, სათანადო წესით დამოწმებული ასლები; ამასთან, რამდენჯერ და როდის იყო გაცემული ქორწინების განმეორებითი მოწმობები და ვისი განცხადების საფუძველზე, ინდივიდუალური ნომრების მითითებით; არსებობდა თუ არა -- -- და -- -- შორის განქორწინების სააქტო ჩანაწერი (რამდენიმე ჩანაწერის არსებობის შემთხვევაში, მიწოდებოდათ აღნიშნულთან დაკავშირებით სრული ინფორმაცია). წარმოდგენილი ყოფილიყო ყველა სააქტო ჩანაწერის ორივე ეგზემპლარის, მათ შორის არქივში არსებულის, სათანადო წესით დამოწმებული ასლები; ამასთან, რამდენჯერ და როდის იყოს გაცემული განქორწინების განმეორებითი მოწმობები და ვისი განცხადების საფუძველზე, ინდივიდუალური ნომრების მითითებით.

2019 წლის 16 ოქტომბერს მოპასუხე მხარემ შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს წერილობით მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 9 დეკემბრის დასკვნა:

-- -- 2019 წლის 11 ოქტომბრის №173 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2019 წლის 31 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

4.1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

განსახილველ შემთხვევაში იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრის საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს თავისი არსით რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-8 ნაწილის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ

ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის მიერ მხარის კონსტიტუციური, ასევე ფუნდამენტური საპროცესო უფლებების ან სამართლიანი პროცესის ძირითადი გარანტიების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა მხარის, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

ვადებს მნიშვნელოვანი წესრიგი შეაქვს სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობის პროცესში. ვადა მნიშვნელოვან საჯარო ინტერესებს ემსახურება, როგორებიცაა: ეფექტური, ობიექტური და სამართლიანი მართლმსაჯულების უზრუნველყოფა; სამართლებრივი უსაფრთხოების, გასნაზღვრულობის, სამოქალაქო ურთიერთობებში წესრიგის და სტაბილურობის დამყარება.[1]

მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო ვადის დარღვევაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების კომენტარების მიხედვით, საქმეების ეფექტიანად, სამართლიანად და საკმარისად სწრაფად განხილვისას მოსამართლემ უნდა გამოიჩინოს სათანადო ყურადღება იმ მხარეთა უფლებების მიმართ, რომლებიც მის წინაშე გამოდიან, და უზრუნველყოს სადავო საკითხების გადაწყვეტა ზედმეტი დანახარჯებისა და სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. მოსამართლემ უნდა განახორციელოს სასამართლოში შემოსული საქმეების მიმდინარე კონტროლი და ზედამხედველობა, რათა შეამციროს ფუჭი ხარჯები, ზედმეტი დაგვიანება და გაჭიანურება. მოსამართლეებმა თავიანითი ფუნქციები უნდა განახორციელონ გულდასმით და გონივრულ ვადებში. სასამართლომ აქტიური როლი უნდა შეასრულოს სამართალწარმოების დროულად განხორციელებაში და იმავდროულად პატივი უნდა სცეს მხარეების უფლებებს. მხარეებს უფლება აქვთ მათი სარჩელი გონივრულ ვადაში იყოს განხილული სამართლიანი სასამართლოს მიერ.

მოცემულ შემთხვევაში, მოსამართლე წარმოადგენს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ მოსამართლეს შესაბამისად, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის 31-ე პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №3/1/531

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი სასამართლოს წარედგინა 2018 წლის 30 მარტს, ხოლო მოპასუხეებმა შესაგებელი წარადგინეს 2018 წლის 19 აპრილს და 20 აპრილს. კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყება კონკრეტული თარიღიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ აღნიშნული საქმე მოსამართლეს წარმოებაში აქვს დაახლოებით 1 წელი და 8 თვეა.

ასევე, გასათვალისწინებელია მოსამართლის შვებულებაში ყოფნის პერიოდები 23.07.2018-17.08.2018; 26.12.2018-31.12.2018; 22.07.2019-15.08.2019 წწ (საერთო ჯამში 1 თვე და 27 დღე).

მნიშვნელოვანია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა, მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა. -- -- სასამართლოს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2018 წელს მოსამართლე -- -- განსახილველად ეწერა 510 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 422 სამოქალაქო საქმე (82%), ხოლო 2019 წლის სტატისტიკური მონაცემებით განსახილველად ეწერა 355 სამოქალაქო საქმე, ხოლო ამათგან დაასრულა 249 სამოქალაქო საქმე (70%).

მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია დადგინდეს, თუ რამდენად შეუწყო ხელი მოსამართლის ქმედებებმა საქმის განხილვის გაჭიანურებას, საქმის განხილვის საერთო ვადასთან მიმართებაში. უმნიშვნელოვანესია შეფასება მიეცეს მოსამართლის მიერ საქმესთან მიმართებაში ჩატარებულ საპროცესო მოქმედებებს. საქმის მასალების მიხედვით დასტურდება, რომ განსახილველ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლის მიერ განხორციელდა არაერთი საპროცესო მოქმედება, მოსამართლე -- -- აღნიშნულ საქმეზე ჩაატარა 9 სასამართლო სხდომა, მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილი იქნა არა ერთი შუამდგომლობა რომელიც საჭიროებდა რეაგირებას და განჩინებების მიღებას მოსამართლის მიერ, რაც ბუნებრივია ასევე აჭიანურებდა საქმის განხილვისათვის განკუთვნილ ვადას. საქმის მოცულობა და განსაკუთრებული სირთულე (თხუთმეტი ტომი, სამი მოსარჩელე, ოთხი მოპასუხე, შვიდი სასარჩელო მოთხოვნა) განსახილველ შემთხვევაში არ ქმნის საკმარის საფუძველს საქმის განხილვის ბრალეულ/უსაფუძვლო გაჭიანურებად შეფასდეს მოსამართლის მიერ საქმის განხილვის საპროცესო ვადების დარღვევა.

4.2. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „სხვა მოსამართლის, სასამართლოს აპარატის თანამშრომლის ან სასამართლო პროცესის მონაწილის მიერ კანონის დარღვევისა და ამ პუნქტით გათვალისწინებული შესაძლო დისციპლინური გადაცდომის ფაქტის მოსამართლის მიერ რეაგირების გარეშე დატოვება, თუ მოსამართლე ამ ფაქტის თვითმხილველია.“

სამოსამართლო ეთიკის წესების თანახმად, მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას. ამასთან, სასამართლო სხდომის დარბაზში სხდომის თავმჯდომარე (მოსამართლე) ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო წესრიგის დაცვა, იმოქმედოს კანონის შესაბამისად და პროცესის დამსწრე ყველა პირისაგან მოითხოვოს კორექტული დამოკიდებულება სასამართლოს მიმართ.

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან. ხოლო, ბანგალორის პრინციპების 6.6 პუნქტის თანახმად მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს წესრიგი და ეტიკეტი სასამართლოში მიმდინარე ყველა სხდომაზე, იყოს მომთმენი, ღირსეული და თავაზიანი მხარეების, მსაჯულთა, მოწმეების, ადვოკატების და სხვათა მიმართ, რომელთანაც უწევს ურთიერთობა ოფიციალური სტატუსით. მოსამართლემ მსგავსი ქცევა უნდა მოსთხოვოს მხარეთა წარმომადგენლებს, სასამართლო პერსონალს და სხვებს, რომლებიც ექვემდებარებიან მოსამართლის ზეგავლენას, ხელმძღვანელობას ან კონტროლს.

მეტად საინტერესოა ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) 2002 წლის №3 დასკვნა, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამოსამართლო დავების გადაწყვეტის არსებული მეთოდები ყოველთვის ნდობას უნდა იმსახურებდეს. უფლებამოსილებანი, რომლებითაც მოსამართლეები არიან აღჭურვილნი, უშუალოდ დაკავშირებულია ისეთ ღირებულებებთან, როგორიცაა სამართლიანობა, ჭეშმარიტება და თავისუფლება. მოსამართლეების მიმართ გამოყენებული ქცევის სტანდარტები გამომდინარეობს ამ ღირებულებებიდან და მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს (§8). ამასთან, საზოგადოებრივი ნდობა და პატივისცემა სასამართლო ხელისუფლებისადმი სასამართლო სისტემის მუშაობის ეფექტიანობის გარანტიებს წარმოადგენს, ცალსახად ნათელია, რომ სამოსამართლო ქცევა პროფესიულ სფეროში საზოგადოების წევრების მიერ განიხილება, როგორც სასამართლოების მიმართ ნდობის განუყოფელი ნაწილი (§22).

მოსამართლე უნდა იცავდეს ეთიკის ნორმებს, ეთიკური ნორმების დაცვა და ეთიკური ნორმების დაცვის დემონსტრირება როგორც პროფესიული, ისე პირადი ასპექტით მოსამართლის ცხოვრების მნიშვნელოვანი ელემენტებია. მთავარია არა ის, თუ რას აკეთებს ან არ აკეთებს მოსამართლე, არამედ ის, თუ რა გააკეთა, ან რისი გაკეთება შეუძლია მოსამართლეს გარშემომყოფთა აზრით. ფაქტია, რომ საზოგადოება მოსამართლისაგან ქცევის მაღალ სტანდარტებს მოელის. არაკორექტული ქცევის გამოსავლენი კრიტერიუმია იმის განსაზღვრა, ხომ არ ვნებს ასეთი ქცევა მოსამართლის უნარს, პატიოსნად, მიუკერძოებლად, დამოუკიდებლად და კვალიფიციურად შეასრულოს მოსამართლის მოვალეობები, თუ, გარეშე დამკვირვებლის აზრით, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ მოსამართლეს არ შეუძლია, ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები.

საჩივრის ავტორის განცხადება, რომ მოსამართლეს მოპასუხე მხარისთვის პასუხი უნდა გაეცა და მათ არა კონკრეტული მოსამართლის არამედ მართლმსაჯულების იმედი უნდა ჰქონოდა არ შეესაბამება მოსამართლის ეთიკური ქცევის სტანდარტს. მოსამართლის ქცევას, თავდაჭერის მანერას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მისი მიუკერძოებლობისადმი ნდობის გამყარებისათვის, ვინაიდან სწორედ მისი ქცევა იპყრობს გარშემომყოფთა ყურედღებას. მოსამართლეს მოსამართლის თანამდებობის შესაფერისი თავდაჭერა და ტაქტი მართებს. შესაბამისად, მოსამართლე არ არის ვალდებული და არ უნდა გაუკეთოს კომენტარი მხარეების მიერ გამოთქმულ ყველა რეპლიკას.

-- -- საჩივარში მიუთითა, რომ 2018 წლის 24 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე -- -- გამოვიდა საკმაოდ ვრცელი სიტყვით, სადაც შეურაცხყოფა მიაყენა მოსამართლეებს -- -- და -- --, ხოლო მოსამართლე -- -- არ მოუწოდა კორექტულობისკენ და წესრიგის დაცვისკენ და აღნიშნულის აღსაკვეთად არ მიიღო შესაბამისი ზომები.

სასამართლოსადმი უპატივცემულობის ცნება კანონმდებლობით არ არის ცალსახად განსაზღვრული. რიგ შემთხვევებში, საკმაოდ რთულია იმის განსაზღვრა, სად მთავრდება დაცვის სტილი და ტაქტიკა, და სად იწყება სასამართლოსადმი უპატივცემულობა.

მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის კომენტარების მიხედვით წესრიგში მოიაზრება სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობა და კორექტულობა, რაც აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სასამართლოს მიერ საქმის განხილვისას დაცული იყოს სასამართლო პროცედურის დადგენილი წესები. სხვადასხვა მოსამართლეს განსხვავებული შეხედულება და სტანდარტები შეიძლება ჰქონდეს იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება გარემოებებს ადვოკატის ან სასამართლო განხილვის სხვა მონაწილის კონკრეტული ქცევა.

ზემოაღნიშნული ფაქტის შესწავლისა და სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივიდან გამოთხოვილი იქნა 2018 წლის 24 დეკემბრის სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერი, თუმცა არქივის მოცულობიდან გამომდინარე ვიდეოჩანაწერის მოწოდება ვერ მოხერხდა (წერილი 377-ი).

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ შესაძლებელია მოსამართლემ ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ და „ვ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2022 წლის 10 ნოემბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 9 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №173/19 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი